პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 150 (5180)

31 ივლისი, 1934 წ. ოთხშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკურ კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ბრწყინვალე რევანში

ა. მეტრეველმა დაამარცხა ი. კოდეში

დონეცკი, 30 ივლისი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). მკითხველისთვის ალბათ ძნელი წარმოსადგენია, რა უჩვეულო აეროტაჟი იყო გუშინ შახტიორთა ქალაქ დონეცკში. ეს გასაგები გახლდათ: ჯერ ერთი, ჩოგბურთელთა ასეთი რანგის ასპარეზობის მოწმენი დონეცკელები პირველად გახდნენ; მეორე — ფინალური მატჩის გადარჩენის მისია დაკისრებული ჰქონდა ორ ცნობილ საბჭოთა ჩოგბურთელს — ა. მეტრეველსა და თ. კაკულიას; მესამე — ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ მსოფლიო რანგის სპორტსმენები მეტრეველი და ჩეხოსლოვაკიელი კოდეში. ყველას აინტერესებდა, შეძლებდა თუ არა ქართველი ჩოგბურთელი რევანშის აღებას შარშან 7 იელისს ლონდონში უიმბლდონის ტურნირის ფინალში დამარცხებისთვის (როგორც ცნობილია, გადამწყვეტი მატჩი კოდეშმა მოიგო ანგარიშით 6:1, 9:8, 6:3 და უიმბლდონის ტურნირის ჩემპიონი გახდა).

დიას, მდგომარეობა მატჩამდეც ძალიან დაძაბული იყო, რადგან სსრ კავშირის გუნდი აგებდა ანგარიშით 1:2 და დარჩენილი ორი შეხვედრა საბჭოთა სპორტსმენებს აუცილებლად უნდა მოეგოთ, მაგრამ ადვილი საქმე იყო კოდეშის დამარცხება? სწორედ ამ ფიქრებით იყო შეპყრობილი დონეცკის შესანიშნავი ჩოგბურთი. სტადიონის ტრიბუნებზე შეკრებილი მრავალი მაყურებელი, ერთი კი ცხადი იყო: ორივე შეხვედრა უკიდურესად დაძაბული იქნებოდა, რადგან ერთმანეთს ხვდებოდნენ თითქმის თანაბარი ძალის მეტოქენი.

მეტრეველი — კოდეში. სარბიელზე სიტუაციები კალეიდოსკოპივით იცვლებოდა. მეტოქეები არაფერს უთმობდნენ ერთმანეთს, ყოველი ქულისთვის დაძაბული ბრძოლა იყო გაჩაღებული. ორივე ჩოგბურთელი ვირტუოზულ ტექნიკას ავლენდა, ასე რომ, ტრიბუნებზე შეკრებილთ წამით მოცალა არ ჰქონდათ. და მაინც, პირველი პარტია სტუმარმა მოიგო — 6:4. ეს მეტრეველსაც შეეძლო, მაგრამ სპორტი სპორტია და გამარჯვების სასწორი აუცილებლად ერთ მხარეზე უნდა გადახრილიყო.

მეორე პარტიაში სურათი არ შეცვლილა. ხან ერთი მეტოქე იყო წინ, ხან მეორე, მაგრამ აშკარად ჩანდა, რომ მეტრეველმა უკვე ალღო აიღო კოდეშის თამაშის მანერას, საჭირო მომენტებში დროულად გადიოდა ბადესთან და აქ მისი უპირატესობა ეჭვს აღარ იწვევდა. კოდეშმა ამ პარტიაში 8 გეიმის მოგება შეძლო, მეტრეველმა — ექვსისა. ანგარიში გათანაბრდა — 1:1. მესამე პარტია პირველს ტუუპის ცალიგით ჰგავდა და კოდეშმა იმავე ანგარიშით გაიმარჯვა — 6:4. ტრიბუნებზე უჩვეულო ყიჟინა იყო, რასაკვირველია, ყველა თბილისელი ჩოგბურთელის ქომაგი გახლდათ. განსაკუთრებული არავის ჩაუდენია რამე, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის, მთავარი მსაჯი მაინც ხშირად აფრთხილებდა გულშემატკივრებს: „დაიცავით სიჩუმე!“

გაიმარჯვა მეტრეველმა — 6:3. ის, რაც მეოთხე პარტიაში მოხდა, ნამდვილად ძნელი ასაწერია. ისე ჩანდა, თითქოს მეტრეველს მატჩის გადარჩენის ყველა გზა მოუჭრა კოდეშმა, როცა დასაწყისიდანვე ხელთ იგდო სადავეები და წინ გაიდა გეიმების ხაკმაო მარაგით (4:1). იგი ახლოს იყო გამარჯვებასთან, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავდა გამარჯვებას. ალბათ ასე ფიქრობდა თბილისელი სპორტსმენი. რაც ამ მომენტში მოხდა, მართლაც დაუჯერებელია. ეტყობა, სსრ კავშირის ჩემპიონი ფსიქოლოგიაში ჩახედული კაცია, მან შეატყო, რომ კოდეში საბოლოო ზეიმისთვის ემზადებოდა, თავდაჯერებულობამ შეიპყრო და იოლი გზით უნდოდა გამარჯვებამდე მისვლა. ჩეხოსლოვაკიელის ეს უმნიშვნელო მოდუნება მეტრეველმა მაესვე გამოიყენა: იგი მთელი ძალით ამოქმედდა, თამაშში ჩართო სპორტის ამ სახეობას ყველა ურთულესი ილეთი და გეიმების ანგარიში გაათანაბრა — 4:4. მომდევნო გეიმი თბილისელმა ადვილად მოიგო. ანგარიში გახდა 5:4 მეტრეველის სასარგებლოდ. საკმარისი იყო კიდევ გეიმის მოგებაც და გამარჯვების გზაზე ერთი ნაბიჯი უკვე გადადგმული იყო, მაგრამ კოდეშმა კარგად გამოიყენა თავისი მოწოდება და მოიგო გეიმი (5:5). შემდეგ ასევე გაკეთა მეტრეველმა და კვლავ დაწინაურდა (6:5).

როგორც ჩანს, კოდეში არ იყო მზად ასეთი „ფსიქოლოგიური ტრავმისთვის“ და ცოტა არ იყოს, შეცბა. მეტრეველმა გამარჯვებამდე მიიყვანა პარტია, როცა ბოლო, გადამწყვეტი გეიმი „ნულზე“, ხოლო მატჩი ანგარიშით 8:1 მოიგო.

ხანგრძლივმა ორთაბრძოლამ ისე გაიტაცა მაყურებელი, რომ ოდნავად არ შეტყობია დაღლა. როცა სათამაშოდ თ. კაკულია და ფ. პალა გამოვიდნენ, ტრიბუნებზე კვლავ აეროტაჟი სუფევდა. კაკულიას არ გასჭირვებია პირველი პარტიის მოგება (6:3). მეორეში თამაში უფრო თანაბარი გამოდგა, მაგრამ... როცა გეიმების ანგარიში 4:4 იყო, ისე ჩამობნელდა, ბრძოლის გაგრძელება შეუძლებელი გახდა და იგი მეორე დღისთვის გადაიდო.

სიხარულის ცრემლები

... ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ლეილა ბერაძემ მოფარიკავეთა ნახევარფინალში ბრძოლის უფლება მოიპოვა. მისგან მეტს არავინ ელოდა. თავდაპრველად არც თვითონ უფიქრია უკეთეს შედეგზე, მაგრამ მოხდა ისე, რომ გოგონა ფინალში გავიდა. აქ მან ორი მეტოქე დაამარცხა და მხოლოდ ერთხელ წაიბორძიკა, როცა მოსკოველმა ლიუდმილა ჩერნოვამ ერთადერთი ჩხვლეტით აჯობა. მაშინ კი ლეილას ცრემლებით აევსო ცისფერი თვალები. მალე ეს კელავ უხმეს სარბიელზე. ისევ აწკარუნდა ფოლადის იარაღი. ისევ გამარჯვება და ისევ ბრძოლა...

და აი, ჩვენი მოფარიკავე ჩალდაევს პირისპირ დადგა. თუ გაიმარჯვებდა, ჩემპიონი ხდებოდა, თუ დამარცხდებოდა—ოთხ მონაწილეს შორის ბრძოლა თავიდან უნდა დაწყებულიყო.

ლეილას უკვე დამარცხებული ჰყავდა ისეთი ტიტულოვანი მოფარიკავეები, როგორიც არიან სსრ კავშირის ჩემპიონი გოგონათა შორის ლარისა ცაგარაევა და საკავშირო პროფსაბჭოს ჩემპიონი ტატიანა ძაგოევა (ორივე — რსფსრ).

ამასობაში ანგარიში გახდა 3:1 ჩალდაევას სასარგებლოდ. მოსკოველს მხოლოდ ერთი ჩხვლეტა აშორებდა გამარჯვებას, როცა ლეილამ კიდევ ერთი ქულა მოიპოვა, მერე — კიდევ ერთი. და აი, საბოლოო ჩხვლეტაც. გოგონას ცისფერი თვალები კვლავ ცრემლებით ავსო, ოღონდ ეს უკვე სიხარულის ცრემლები იყო.

ლეილა ბერაძე მოსწავლეთა XIII საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა. იგი ჰაერში აისროლეს მისმა თანაგუნდელებმა. ბიჭებმა საიდანღაც ყვავილებიც გააჩინეს.

ჯერ კიდევ პირველი ფინალური ბრძოლის დროს, როცა ლეილას სურათს ვუღებდი, ერთ-ერთმა კოლეგამ, ცოტა არ იყოს, ირონიულად მკითხა:

— რაო, მომავალი ჩემპიონი ფირზე გინდა აღბეჭდო?

ახლა, როცა ლეილა საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე იდგა, ნუ გამამტყუნებთ, რომ ის ჩემს კოლეგას ნიშნისმოგებით გადავხედე.

ა. გურასაშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ალმა-ათა.

* * *

სურათზე: ლ. ბერაძე ერთ-ერთი ბრძოლის შემდეგ.

ავტორის ფოტო.

მეთხუთმეტედ მოპოვებული თასი

ბრუნსვიკი, 28 ივლისი. საფრანგეთის ამ ქალაქში დამთავრდა მოფარიკავეთა მსოფლიო ჩემპიონატი. ორ დასკვნითს გუნდურ ტურნირში რაპირისტი ქალების და დაშნით მოფარიკავე ვაკების შეჯიბრების შედეგები გაკვლევას ვერ მოახდენდა საერთო გუნდურ გამარჯვებაზე. მსოფლიო ჩემპიონატის მთავარი ჯილდო — „ეროვნებათა დიდი პრიზი“ — გუნდური გამარჯვებისთვის უკვე მეთხუთმეტედ მოიპოვეს საბჭოთა მოფარიკავეებმა.

რაპირისტ ქალთა გუნდური შეჯიბრების გადამწყვეტ შეხვედრაში საბჭოთა მოფარიკავეების (ვ. ბელოვა, ვ. სიდოროვა, ო. კნიაზევა, ნ. ბილიაზოვა, ვ. ნიკონოვა) მეტოქეები უნგრელები იყვნენ. საბჭოთა სპორტსმენებმა მოიგეს ანგარიშით 9:7 და ოქროს მედლები მოიხვეჭეს.

დაშნით მოფარიკავეთა გუნდურ შეჯიბრებაში ამ ჩემპიონატების ისტორიაში პირველად გაიმარჯვეს შვედებმა, რომლებმაც ფინალში დაამარცხეს გფრ-ის გუნდი. სსრ კავშირის გუნდი V ადგილზე გავიდა.

ამრიგად, საბჭოთა გუნდი, რომელიც 11 ქალაქის წარმომადგენლები შედიოდნენ, პროგრამის რვავე სახეობაში თანაბრად და ძლიერად გამოვიდა. საბჭოთა მუშაკეტრებმა 4 ოქროს, 1 ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ მინსკელი ა. რომანკოვი, აგრეთვე, ესპადრონისტთა და რაპირისტთა (ქალთა და ვაჟთა) გუნდები. მარშანდელ მსოფლიო ჩემპიონატში საბჭოთა მოფარიკავეებმა მხოლოდ ორი ოქროს მედალი მიიღეს.

სპორტსმენთა წარმატებას იზიარებენ მათი მასწავლებლები: ლ. საიჩუკი (ნაკრების მთავარი მწვრთნელი), ლ. კუზნეცოვი, მ. მიღლერი, ვ. ბიკოვი და ვ. ფიტლოვი.

ჩემპიონატში გამოვიდა 40 ქვეყნის 500-მდე მოფარიკავე. მედლები ხვდათ რვა ქვეყნის: სსრ კავშირის, უნგრეთის (გუნდური 11 ადგილი), შვეიცის, იტალიის, საფრანგეთის, პოლონეთის, რუმინეთისა და გფრ-ის წარმომადგენლებს.

რომანკოვს გარდა მსოფლიო ჩემპიონი პირველად გახდა უნგრელი რაპირისტი ქალი ი. ბობიში. ორმა მოფარიკავემ შეინარჩუნა ეს წოდება: იტალიელმა მ. მონტანომ (ხმალი) და შვედმა რ. ედლინგმა (დაშნა).

პირველობის მეორე მოქმედება

ჩვენს გაზეთში უკვე ვწერდით დაბრკოლებათა გადალახვაში ცხენოსანთა საკავშირო ჩემპიონატის შესახებ. ეს იყო ჩემპიონატის, თუ შეიძლება ითქვას, პირველი მოქმედება, რომელიც მოლდავეთის ქალაქ უნგენში ჩატარდა. გუშინწინ მოსკოვის გარეუბანში დაიწყო ჩემპიონატის შეჯიბრებები ცხენოსნობის დანარჩენ ორ ოლიმპიურ სახეობაში: სამჭიდლა და ცხენის გაწვრთნაში.

ასპარეზობა გახსნეს სამჭიდელებმა. პირველი სახეობა იყო სამანეყო სვლა. საუკეთესო შედეგით დაამთავრა ასპარეზობა მოსკოველმა არმიელმა ვ. ლანიუგინმა — 50,32 საჯარიმო ქულა. მეორე შედეგი ჰქონდა კვლავ არმიელ ცხენოსანს ვ. ტიშკინს — 64.87. III ადგილზეა მოსკოველი არმიელი ა. სოლდიასინი — 68 ქულა.

გუშინ ცხენოსნებისთვის მოეწყო შეჯიბრება ყველაზე რთულ სახეობაში — საველე გამოცდაში. დღეს უფროსი ასაკის ცხენებით მოასპარეზენი სამჭიდში ბრძოლას დაამთავრებენ და ესტაფეტას გადასცემენ ახალგაზრდა ცხენებით ამავე სახეობაში შეჯიბრების მონაწილეებს.

როგორც მუდამ, დიდ ინტერესს გამოიწვევს „დიდი პრიზის გათამაშება“, რომლის პროგრამაც მთლიანად შეესატყვისება ოლიმპიურს. ეს შეჯიბრება 1 აგვისტოს მოეწყობა.

ჩემპიონატი დამთავრდება 4 აგვისტოს 3600 მეტრზე სტიპლ-ჩეზით. პროგრამის ეს სახეობა საკავშირო შეჯიბრებაში უკვე მრავალი წელია არ შეუტანიათ.



ლამაზი სარბოლო ხომალდები დიდი სიჩქარით მიაპობენ ზღვის ზედაპირს ბათუმის ყურეში. აქ მეცადინეობენ აჭარის დოსაავფის საზღვაო კლუბის წყალსამოტორო სპორტის სექციის წევრები. სექციაში გაერთიანებულია სულ სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ხალხი: ინჟინრები, მეზღვაურები, სტუდენტები, მოსწავლეები. მათ შორის რესპუბლიკური და საკავშირო შეჯიბრებების პრიზიორებიც არიან.

* * *

სურათზე: სექციის ხელმძღვანელი, ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი, სპორტის ოსტატი ბორის მამფორია სკუტერით რბოლის დროს.

ნ. ანასტასიევის ფოტო.
(საკადესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქანარის ქუნქულებზე მიღებული ხილდო

გ. ყვარელაშვილი

ნ. მოდებაძე

● ●

თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიო თასის გათამაშებას სულ რაღაც ორი წლის ისტორია აქვს, მაგრამ ამ მოკლე დროში ტურნირმა საკმაოდ დიდი პოპულარობა მოიხვეჭა. მსოფლიო თასის გათამაშება გუნდური ასპარეზობაა და დებულების თანახმად ამ შეჯიბრებაში მხოლოდ ოთხი უძლიერესი ნაკრები მონაწილეობს. წლეულს ამ საპატიო ჯილდოსთვის ბრძოლის უფლება მოიპოვეს სსრ კავშირის, ირანის, ბულგარეთისა და აშშ-ს გუნდებმა. ტურნირი ჩატარდა ესპანეთში, უფრო ზუსტად, კანარის კუნძულებზე, ქალაქ ლას-პალმასში.

რატომ მაინცდამაინც ესპანეთი აირჩია საერთაშორისო ფედერაციამ საასპარეზოდ, ეს ჩვენ არ ვიცით, ზაგრამ ჭიდაობა იქ საკმაოდ პოპულარული სპორტი ყოფილა. ესპანელებს აქვთ ეროვნული ჭიდაობა, რომელიც ძალიან ჰგავს თავისუფალს. ალბათ ამ ფაქტმა განაპირობა ის ინტერესი, რომელიც ადგილობრივმა მოსახლეობამ გამოიჩინა ტურნირისადმი.

სხვათა შორის, ასპარეზობის პროცესში მსაჯებმა ჩამოსულებს გააცნეს თავიანთი ჭიდაობა და ბოლო დღეს ერთობლივი შეჯიბრებაც კი მოაწყვეს. ყოველმა გუნდმა ამ სახელდახელო ტურნირში 3-3 მონაწილე გამოიყვანა. საბჭოთა მოჭიდავეებმა ერთი ადგილი მიანდვეს ჩვენს თანამემამულეს ნოდარ მოდებაძეს, რომელმაც მაშინვე აუდო ალღო ამ უცხო ჭიდაობას და ყველა მეტოქე დაამარცხა. ეს, როგორც უკვე ვთქვით, ძირითადი ტურნირის დამთავრების შემდეგ მოხდა, როცა გარკვეული იყო მსოფლიო თასის ბედი და მონაწილეებსაც ნერვები დამშვიდებული ჰქონდათ. მანამდე კი ოთხივე პრეტენდენტი მხოლოდ ერთი ფიქრით იყო შეპყრობილი — როგორმე თასს დაპატრონებოდა.

ყველაზე მეტად მოწადინებული ირანელები იყვნენ. ამ ქვეყნის ჭიდაობის ფედერაციამ ჯერ კიდევ ირანში ისე დააკომპლექტა გუნდი, რომ აქცენტი დაბალ წონებზე გადაიტანა. ირანელთა ტაქტიკური ჩანაფიქრი მარტივი იყო: რაკი ზედა წონებში წარმატების იმედი არ ჰქონდათ, მათ ყველა უძლიერეს ათლეტს პირველ ექვს წონაში მოუყარეს თავი. სხვა გამოსავალი არ ჩანდა.

წინასწარ უნდა ვთქვათ, რომ ირანელთა ტაქტიკამ გაამართლა, ოღონდ ნაწილობრივ. 6 მოჭიდავით ასპარეზობა საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ირანის ნაკრები II ადგილზე გასულიყო. მეტის მიღწევა კი, ცხადია, ძნელი საქმე გამოდგა.

უძლიერესი მოჭიდავეებით დაკომპლექტეს გუნდები ბულგარეთმაც და ამერიკამაც, მაგრამ III და IV ადგილებს ვერ გასცდნენ.

I ადგილი და მთავარი ჯილდო კი, როგორც ცნობილია, საბჭოთა გუნდის ნადავლი აღმოჩნდა. ვინაიდან თასის გათამაშების ვადები საკავშირო ჩემპიონატისას დაემთხვა, ნაკრების მწვრთნელებმა ბევრი იფიქრეს შემადგენლობის შერჩევაზე. ბოლოს გადაწყდა, რომ ნაკრები ორ ნაწილად გაეყოთ. ესპანეთში გაემგზავრნენ ისინი, ვისაც მონაწილეობა არ მიუღია ევროპის ამასწინანდელ ჩემპიონატში. ასე მოხვდნენ გუნდის შემადგენლობაში ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონები რ. დმიტრიევი და ზ. აბდულბეკოვი, ევროპის ექს-ჩემპიონი ვ. სიულჟინი, ნაკრების სხვა მოწინავე წევრები, მათ შორის ჩვენი თანამემამულეები — ნოდარ მოდებაძე და გივი ყვარელაშვილი.

სამი დღის მანძილზე ზღვისპირა ღია სარბიელი ხალხით იყო გაჭედილი და უნდა ითქვას, რომ მაყურებლის მოლოდინი სავსებით გამართლდა.

კენჭისყრამ პირველსავე დღეს ერთმანეთს დაუპირისპირა მთავარი ფავორიტები — სსრ კავშირი და ირანი. საბჭოთა გუნდის ამოცანა მარტივზე მარტივი იყო. ვინაიდან ირანელებს მთავარი აქცენტი პირველ ექვს წონაზე ჰქონდათ გადატანილი, საბჭოთა ნაკრებს აქ, სულ ცოტა, 1,5 ქულა უნდა აეღო, იმ ახგარიშით, რომ დანარჩენ ქულებს ზედა ოთხ წონაში მოაგროვებდა. ეს იყო პროგრამა-მინიმუმი, რომელსაც საბჭოთა სპორტსმენებმა მნიშვნელოვნად გადაჭარბეს.

ირანელთა ჩანაფიქრს პირველი ბზარი მაშინ გაუჩნდა, როცა მსაჯთა კოლეგიამ ჯავადიცა და დმიტრიევიც პასიური ჭიდაობისთვის მოხსნა (საბჭოთა გუნდის მეტოქეებს ამ წონაში ქულის აღება ჰქონდათ ნავადაურევი). მერე ბოგატირიოვმა ფრედ დაამთავრა ბრძოლა. ასეთივე შედეგით დამთავრდა ყვარელაშვილისა და ნავაის შეხვედრა. სხვა პირობებში საბჭოთა გუნდი ალბათ გააპროტესტებდა ამ შედეგს, ვინაიდან ყვარელაშვილს ჰქონდა ერთგვარი უპირატესობა, მაგრამ მთავარი ამოცანა უკვე შესრულებული იყო და მწვრთნელებმა კონფლიქტს თავი აარიდეს, მით უმეტეს, რომ ასპარეზობა გუნდური იყო და არა პირადი. საბჭოთა გუნდის წარმატება დაგვირგვინა მოდებაძემ, რომელმაც პირველსავე პერიოდში წმინდად მოუგო ფილაბის. ბულგარელებმა ამერიკელები დაამარცხეს.

საბჭოთა მოჭიდავეების შემდეგი მეტოქე ბულგარეთის ეროვნული გუნდი იყო. საბჭოთა სპორტსმენებმა აღმავლობით ჩაატარეს შეხვედრები და კვლავ გაიმარჯვეს: ყვარელაშვილის ბრძოლა ოლიმპიური თამაშების პრიზიორ კრისტოვთან ფრედ დამთავრდა, მოდებაძემ კი ისევ წმინდად მოუგო რადევს პირველ პერიოდში. ირანელმა ათლეტებმა დაამარცხეს ამერიკელები.

სსრ კავშირის გუნდის ბოლო შეხვედრას აშშ-ს ნაკრებთან ფაქტიურად აღარავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. საბჭოთა სპორტსმენები მარცხის შემთხვევაშიც მთავარ ჯილდოს მოიპოვებდნენ. და მაინც, ამ ორთაბრძოლას პრინციპული მნიშვნელობა ენიჭებოდა. საბჭოთა მოჭიდავეებმა დიდი აღმავლობით ჩაატარეს შეხვედრები და ყველა თავის სასარგებლოდ დაამთავრეს. ამერიკელებმა მხოლოდ 2 ქულა მიიღეს, ისიც იმიტომ, რომ ტრავმის გამო სარბიელზე არ გამოვიდნენ ალდულბეკოვი და სიულჟინი. ყვარელაშვილმა აშკარა უპირატესობით სძლია პრუჟევსკის. მესამე შეხვედრაც წმინდად მოიგო მოდებაძემ.

სსრ კავშირის ნაკრებმა მეორედ მოიპოვა მსოფლიოს თასი — საჭიდაო სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გუნდური ჯილდო.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ წლევანდელი თასის გათამაშება რიგით მეორე იყო. ამ სიტყვებს ერთგვარი დაზუსტება სჭირდება. საქმე ისაა, რომ 50-იან წლებში ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ ჩაატარა მსგავსი ტურნირი, მერე კი გააუქმა იგი. ასე რომ, მსოფლიო თასის გათამაშების ოფიციალური სათვალავი (როგორც გუნდური შეჯიბრებისა), შარშანდლიდან დაიწყო. ამ ჯილდოს პირველი ლაურეატები, რომელთა შორის ჩვენი სახელოვანი მოჭიდავე გივი კარტოზიაცაა, სწორედ მაშინ, 50-იან წლებში გამოვლინდნენ. ახლა მათ თასის ასალი მფლობელებიც დაემატნენ, რომელთა შორის ოთხი ჩვენი რესპუბლიკიდან არიან — რ. დობორჯგინიძე, ლ. თედიაშვილი (შარშანდელ ტურნირში გამარჯვებულნი), გ. ყვარელაშვილი და ნ. მოდებაძე (წლევანდელი გათამაშების ლაურეატები).

ყვარელაშვილიცა და მოდებაძეც, ისევე როგორც თასის პირველი მფლობელნი სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის“ წევრები და ჭიდაობის სპეციალიზებული სკოლის მსმენელები არიან. ისინი რესპუბლიკის ნაკრების ძირითად ბირთვს შეადგენენ და გულმოდგინედ ემზადებიან, რათა თავი არ შეირცხვინონ საბჭოთა სპორტის ყველაზე დიდ ფორუმში — სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადაში.

ც. ფცქიალაძე.

ლიდერი ინარჩუნებს პოზიციას

ახლა, როცა ცნობილია ძიუდოისტთა ბოლო საკავშირო ჩემპიონატის შედეგები, თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველო კვლავ ინარჩუნებს ლიდერის პოზიციას სპორტის ამ სახეობაში. ძიუდოში მხოლოდ 6 წონითი კატეგორიაა, ამიტომ ჯილდოც აქ უფრო ცოტაა, ვიდრე თავისუფალ ან კლასიკურ ჭიდაობაში (მხედველობაში თუ არ მივიღებთ ბრინჯაოს მედლებს, რომლებსაც ყოველ წონაში ორ-ორ სპორტსმენს გადასცემენ).

რიგაში სულ 24 სხვადასხვა ღირებულების მედალი გათამაშდა, მათგან თითქმის ნახევარი საქართველოს ოჭიდავეებმა მიიღეს (11). ეს, რა თქმა უნდა, დიდი წარმატებაა და კიდევ იმის მაჩვენებელი, რომ გუნდურ ასპარეზობაში ჩვენს რესპუბლიკას ჯერჯერობით ტოლი არა ჰყავს.

საქართველოს ძიუდოისტთა უახლოესმა კონკურენტებმა — რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის წარმომადგენლებმა — შესაბამისად 5 და 3 მედალი მიიღეს. ძიუდოს საკავშირო ფედერაციის განრიგით, თბილისი და გორი სპორტის ამ სასპორტის განვითარების საყრდენ პუნქტებადაა მიჩნეული. როგორც ხედავთ, ორივე ქალაქი პირნათლად ასრულებს ამ დიდ ნდობას. თბილისელმა ძიუდოისტებმა რიგაში 8 ჯილდო მიიღეს, გორელებმა კი — 3.

წლევანდელმა ჩემპიონატმა ერთხელ კიდევ ცხადყო ის ფაქტი, რომ წლიდან წლამდე შესამჩნევად ფართოვდება ძიუდოს გეოგრაფია. აქამდე სპორიზო ადგილებისთვის ძირითადად რამდენიმე ქალაქის სპორტსმენები იბრძოდნენ, ახლა ძლიერთა დავას შეუერთდნენ ოდესა, რიგა, მინსკი...

თუ როგორ განაწილდა საპრიზო ადგილები ქალაქებს შორის, ნათლად ანს ქვემოთ მოყვანილი ცხრილიდან:

	ოქრო	ვერცხ.	ბრინ.
თბილისი	2	2	4
კიევი	2	—	—
მოსკოვი	1	1	1
ჩელიაბინსკი	1	—	1
გორი	—	2	1
მაიკოპი	—	1	1
გროზნო	—	—	1
ოდესა	—	—	1
რიგა	—	—	1
მინსკი	—	—	1

რიგის ჩემპიონატში განსაკუთრებით დიდ წარმატებას მიაღწია ჯიბილო ნიჟარაძემ. მან პირველად მოიგო ოქროს მედალი აბსოლუტურ წონითს კატეგორიაში, ხოლო მძიმეში ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. ორი მედალი მიიღო ოლიმპიურმა ჩემპიონმა, გორელმა შოთა ჩოჩიშვილმაც. ვერცხლის ჯილდო მას მძიმე წონაში გადაეცა, ბრინჯაოსი კი — აბსოლუტურ წონითს კატეგორიაში.

უდავოდ ქებას იმსახურებს რამაზ ხარშილაძეც, რომელიც უძლიერესი იყო ქვემძიმე წონაში. რამაზი რამდენიმე წელია, რაც სსრ კავშირის ნაკრებში გამოდის. იგი მუდამ მთავარი ფავორიტი იყო და თავისი სიძლიერე ამ ტურნირშიც დაამტკიცა.

საქართველოს მოჭიდავეთაგან ვერცხლის მედლები მიიღეს, აგრეთვე, შ. ფიცხელაურმა, გ. გოგოლაურმა და თ. ხუბულურმა, ხოლო ბრინჯაოსი — ა. ობგაიძემ, ა. წიკლაურმა და ა. ბარკალაევმა.

ჩემპიონატის პრიზიორთა სია:

მსუბუქი. 1. გ. ივშინი (ჩელიაბინსკი), 2. შ. ფიცხელაური, 3. ა. ობგაიძე (ორივე — თბილისი) და ი. ტემირბულატოვი (გროზნო).

ქვესაუალო. 1. ვ. დვოინიკოვი (კიევი), 2. ა. სპიროვი, 3. ვ. ნევზოროვი (ორივე — მაიკოპი) და ა. წიკლაური (თბილისი).

საშუალო. 1. ა. ციუპაჩენკო (მოსკოვი), 2. გ. გოგოლაური, 3. ა. ბარკალაევი (ორივე — თბილისი) და ა. ვოლოსოვი (მოსკოვი).

ქვემძიმე. 1. რ. ხარშილაძე (თბილისი), 2. თ. ხუბულური (გორი), 3. ვ. რუხლიადევი (ოდესა) და ვ. ბეთანოვი (ჩელიაბინსკი).

მძიმე. 1. ს. ნოვიკოვი (კიევი), 2. შ. ჩოჩიშვილი (გორი), 3. ჯ. ნიჟარაძე (თბილისი) და ვ. ვიდონჩიკოვი (რიგა).

აბსოლუტური. 1. ჯ. ნიჟარაძე (თბილისი), 2. ა. კაზაჩენკოვი (მოსკოვი), 3. შ. ჩოჩიშვილი (გორი) და ი. კოჟარსკი (მინსკი).



ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 29 ივლისი.

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) 1:1 (0:0).

„ტორპედო“: გაბელია, აბზიანიძე, ჭოხონელიძე, კოსტავა, ქვირია (გაბიჩავძე), ოქროპირაშვილი, ჩახუნაშვილი, ფარულავა, ფეხტვენიძე, ხერხაძე, შელია.

„კრ. სოვეტოვი“: ბლოხინი, სტარუხინი, ნაზაროვი (კულბიაკინი), პლატონოვი, ლოსევი, პანფილოვი, არიაპოვი, ტიმოფეევი, კუპრიანოვი, შმელკოვი, ფილიპოვი.

მსაჯი ბ. ბელოზიოროვი (ტაშკენტი).

დუბლიორები — 3:0 „კრ. სოვეტოვის“ სასარგებლოდ.

სსრ კავშირის პირველობა



● ●

მეტოქეებმა ქულები გაიყვეს

თუ ამ ორი გუნდის შეხვედრათა ისტორიას გადავხედავთ უმაღლეს ლიგაში მათი გამოსვლების პერიოდში, ვნახავთ, რომ ისინი ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ. ხან ერთი მხარე იმარჯვებდა, ხან — მეორე. მაგრამ სურათი მკვეთრად იცვლება „ა“ კლასის I ლიგაში: 7-ჯერ ჩატარებულ მატჩში ტორპედოელებმა ვერც ერთხელ ვერ დაძლიეს კუიბიშეველთა წინააღმდეგობა და შვიდჯერვე დამარცხდნენ. წლეულსაც I წრეში „კრილია სოვეტოვმა“ იოლად გაიმარჯვა — 4:1.

როდის, თუ არა ახლა უნდა ებრძოლათ ქუთაისელ ფეხბურთელებს ამ სამწუხარო ტრადიციის შესაცვლელად, მაგრამ გუნდს ამ პერიოდში უჭირს, დაცვაში ტრავმების გამო ვერ თამაშობენ ბერულავა, ფიფია, ქუთათელაძე და მწვრთნელები იძულებული არიან ნახევარდაცვის ხარჯზე გაძლიერონ უკანა ხაზი, ეს კი არღვევს ტორპედოელთა საერთო სათამაშო სქემას.

სტუმრებმა კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ქუთაისში. გუნდი თამაშობს ძლიერად, კოლექტიურად, ფეხბურთელები კარგად არიან მომზადებული როგორც ფიზიკურად, ისე ტექნიკურად. მატჩის პირველივე წუთებზე ანგარიშის გახსნა შეეძლო კუპრიანოვს და ამ ფეხბურთელმა შემდგომშიც ხელიდან გაუშვა ბურთის გატანის რამდენიმე რეალური შესაძლებლობა. „კრ. სოვეტოვმა“ წარმატებას მიაღწია ადრევე, მე-7 წუთზე, როცა არიაპოვის მიერ ზუსტად მოწოდებულ ბურთს დროზე მიუსწრო ფილიპოვმა — 1:0. გაშვებულმა გოლმა კარგახნით არია ტორპედოელთა რიგები და საერთო ინიციატივას საფუძვლიანად ფლობდნენ კუიბიშეველი ფეხბურთელები.

მდგომარეობა შეიცვალა მხოლოდ ბოლო 15 წუთის მანძილზე. მთელი ძალით ამოქმედდა მარცხენა გარე მარბი გაბიჩავძე, რომლის ინდივიდუალური გარღვევების შემდეგ სტუმრების კარი ხშირად იყო მძიმე მდგომარეობაში. 84-ე წუთზე გაბიჩავძემ კიდევ ერთხელ იმარჯვა, მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე გავიდა რამდენიმე მცველს შორის და შესანიშნავი დარტყმით გაქვითა ანგარიში — 1:1.

მატჩის საუკეთესო მოთამაშედ მიჩნეულ იქნენ გაბელია და არიაპოვი, რომლებსაც გადაეცათ სპეციალური პრიზები.

ლ. ფაჩუაშვილი.
(ჩვენი კორ.).



გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 31 ივლისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (ბათუმი)	21	10	9	2	27—9	29
„ისარი“ (სმოლენსკი)	21	12	4	5	34—17	28
„ტორპედო“ (ვლადიმირი)	21	11	6	4	30—16	28
„დილა“ (გორი)	21	12	3	6	45—26	27
„დინამო“ (ვოლოგდა)	21	11	5	5	32—21	27
„ლოკომოტივი“ (სამტრედია)	21	9	7	5	29—28	25
„ურალანი“ (ელისტა)	21	9	6	6	25—20	24
„ბურევესტნიკი“ (ლენინგორი)	21	6	11	4	37—29	23
„ხიმიკი“ (ძერჟინსკი)	21	9	5	7	29—23	23
„მერცხალი“ (მახარაძე)	21	7	8	6	32—30	22
„კალიტვა“ (ბელაია კალიტვა)	21	9	3	9	25—23	21
„დინამო“ (სტავროპოლი)	21	7	6	8	26—23	20
„დინამო“ (ყიროვაბადი)	20	8	2	10	26—26	18
„დინამო“ (ბრიანსკი)	21	7	4	10	24—29	18
„ხიმიკი“ (ნოვომოსკოვსკი)	21	7	2	12	19—28	16
„შირაკი“ (ლენინაკანი)	21	6	4	11	21—35	16
„დინამო“ (ზუგდიდი)	21	6	4	11	22—37	16
„კოლხეთი“ (ფოთი)	21	5	4	12	16—31	14
„ლორი“ (ყიროვაკანი)	20	3	6	11	14—37	12
„ფოლადი“ (ხუმგალითი)	21	5	1	15	17—42	11



დამთავრდა ასეთი შედეგებით: „სტროიტელი“ (აშხაბადი) — „კუზბასი“ (კემერეოვო) 1:0, „ნეფთჩი“ (გაქო) — „ზვეზდა“ (პერმი) 3:2, „სპარტაკი“ (ნალჩიკი) — „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) 2:2, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 2:0, ასკ (როსტოვი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 0:0, „უბანი“ (კრასნოდარი) — „დინამო“ (მინსკი) 2:1, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „მეტალურგი“ (ლიპეცკი) 0:0, „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი) — „ტავრია“ (სიმფეროპოლი) 3:1, „პამირი“ (დუშანბე) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) 2:2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასწავლებლები... მოწაფეთა როლში



ბ. ჟორჟია,

„ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი მსოფლიოს X ჩემპიონატზე

ცენტრალურ ტრიბუნაზე, მთავრობისა და პრესის ლოჟაში, მოგეხსენებათ, ყველას არა აქვს ადგილი. ის კი არა, 6 და 7 ივლისის მატჩებზე დასასწრები ბილეთები მამასისხლად იყიდებოდა შავ ბაზარზე და ამიტომ მაყურებელი 2-3 საათით ადრე გამეურა სტადიონისკენ. ის გამოცდილია, არ მოტყუვდება და იცის, რომ ჯობია დილიდანვე მიხედოს საქმეს და სათუოდ არ გაიხადოს აუტკივარა თავი. რამდენიმე საათით ადრე ყველა სტადიონზეა, ყველა თავის ადგილზეა — ვინ დასაჯდომზე (ბედნიერები), ვინ დასადგომზე (ამაზეც დიდი მადლობა).

იქნება იფიქროთ, 2 საათი რა გაძლებსო ცარიელ სტადიონზე. როგორ გეკადრებათ! სანახაობები იქ შუადღიდან იწყება. უკრავენ ორკესტრები, ერთმანეთს ცვლიან მომღერლები, მოცეკვავეები, სარბენ ბილიკს წრეს წრეზე არტყამენ ქორეოგრაფიული გუნდები, ბავშვები, მოზრდილები. ლამაზ ტანსაცმელში გამოწყობილი ქალთა სასულე ორკესტრი მაყურებლებმა არა და არ გაუშვეს მწვანე მინდვრიდან და მის სასიამოვნო ჰანგებს ტრიბუნებიდან თან სდევდა საკმაოდ აწყობილი ექო. ყველა მოძრაობაში იყო, ყველა მონაწილეობდა ზეიმში.

მაგრამ ერთია: ეს ის ტრიბუნები არ გეგონოთ, ჩვენში რომ მღელვარე მოლოდინით, მორიდებული, ყრუ გუგუნით უცდიან დიდი მატჩების დაწყებას. აქაური ტრიბუნები — საგიჟეთია, ბაბილონის გოდოლი, რაც გნებავთ!

მე პირდაპირ მენატრებოდა ჩუმად გადამელაპარაკა რამე გვერდით მჯდომი ამხანაგებისთვის, აზრთა გაცვლა-გამოცვლაში მიმეცა გზა ჩემი ფიქრებისთვის. გაგიგონიათ? ისეთი ღრიანცელია გარშემო, შორს, ბავარიის ტყეში ჩიტები ფრთხებოდნენ და ცას აწყდებოდნენ გულგახეთქილნი. ახალგაზრდებს რა უნდა უთხრა, როცა ხანშესული, რესპექტაბელურად გამოწყობილი წესიერი ცოლ-ქმარი ზის და რაც ძალი და ღონე აქვთ აღრიალებენ ღოროტოტოებს, ყველანი რადაცას აბრახუნებენ, აჩხრიალებენ, აზანზარებენ. არგენტინელებმა, რომელთა როდენობა გფრ-ში საკმარისად იყო, ასეთ ხრიკს მიმართეს: თან ჩამოიტანეს ჩვეულებრივი ზომის სამზარეულო ტაფები და ლითონის ჯოხები მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ემბლემებით (ფიფა-ს თასის შემდგომი გათამაშება, როგორც იცით, არგენტინაში შედგება), დაარიგეს ტრიბუნებზე და ყველას თხოვეს — აბრახუნეთო. ეს მათი გუნდის დახმარებაცაა, რეკლამაც, შენ კი რა გენაღვლება, ყველაფერს რომ თავი დაანებო, პირველხარისხოვანი ლითონისგან დამზადებული ტაფა გნებავს ნივთად გექნება სამზარეულოში, გნებავს — სუვენირად.

ჩაიცვამთ თქვენ ჩოხა-ახალუხს და ხანჯლის ტრიალს შეუდგებით სტადიონზე? არა, ხომ? იქ კი ტრიბუნებზე ძველ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილნი მოდიან, მოაქვთ დროშები, ტრანსპარანტები, ალებარდები, ყველა ყვირის, ყველა ღრიალებს და ეშმაკი ვერ გაარკვევს ვისი მისამართითაა ეს გაუთავებელი ქოთქოთი — ბრაზილიის თუ პოლონეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თუ ჰოლანდიისა.

ეს ყურისწამღები კაკაფონია გღლის და გათავყვანებს შეუჩვეველ ადამიანს, გიფანტავს ყურადღებას, გაოგნებს. კიდევ კარგი პრეს-ცენტრში სიმყუდროვე იყო, მალ-მალ გავდიოდით იქ და სულს ვითქვამდით.

მე თქვენ დაგპირდით, რომ არ შეგაწუხებთ მატჩების აღწერით, ვინაიდან ტელევიზიით ნაჩვენები იქნა თითქმის ყველა უმნიშვნელოვანესი თამაში, მათ შორის გადამწყვეტი შეხვედრებიც. სიტყვას არ გადავალ და შევეცდები მხოლოდ მატჩების საერთო სურათით, გუნდების მოკლე დახასიათებით შემოვიფარგლო.

პოლონეთი — ბრაზილია. აქ წყდებოდა III ადგილის ბედი და არც ერთ მხარეს არ დაუკლია ცდა ჩაეტანა სამშობლოში ვერცხლის მედლები. ბრაზილიელთათვის ეს იყო ბრესტიეის მატჩი, რეპბილიტაციის უკანასკნელი საშუალება, პოლონელები კი მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში არასოდეს ყოფილან ასე მაღლა ასული და ძალების მთელი დაძაბვით ცდილობდნენ წარმატებით დაემთავრებინათ გამარჯვებათა ის ხანგრძლივი ციკლი, რომელმაც მათ ასეთი დიდი ავტორიტეტი მოუპოვა დღევანდელ ფეხბურთში.

ერთ მატჩში, რაგინდ მნიშვნელოვანიც უნდა იყოს იგი, ვერ გარდაქმნი თამაშის სტილს, მანერას, ვერ გადადგები სხვა ლიანდაგებზე, ხელწერას ვერ შეცვლი. მოტორს თავისი მუშაობის რეჟიმი აქვს, მას შეუძლია მოგცეს მაქსიმუმი, მაგრამ ურმით ჰაერში ვერ აფრინდები.

ამას ბრაზილიელებზე ვამბობ. ვინმემ რომ არ დამწამოს ტენდენციურობა და წინასწარი განწყობა ბრაზილიელთა მიმართ, წინასწარვე მოგახსენებთ, რომ ამ სტრიქონების ავტორი ბრაზილიელთა პირველი თაყვანისმცემელი იყო 1958 წლიდან, როცა ბრძენი ვისენტე ფეოლას გუნდმა, დიდის, პელეს, გარინჩას, სანტოსების სწორუპოვარმა გუნდმა, შეაზანზარა საფეხბურთო სამყარო, თავდაყირა დააყენა ყველა ადრინდელი დრომოჭმული წარმოდგენა ამ თამაშზე და თვალი აუხილა მსოფლიოს, თუ რა ამოუწურავი მადანია ფეხბურთი, რა ევოლუცია შეიძლება განიცადოს ტექნიკამ, ტაქტიკამ, საერთოდ — საფეხბურთო აზროვნებამ. ბრაზილიელებმა მაშინ მარტო მსოფლიო ჩემპიონობა კი არ მოიპოვეს, თავდან შექმნეს ფეხბურთი, მეორე ცხოვრება მისცეს ბრიტანეთის კუნძულზე ფეხადგმულ შესანიშნავ თამაშს. ის იყო ლამაზი ლეგენდა, წარმტაცი ზღაპარი სინამდვილეზე. ათეული წლები ბატონობდა სამხრეთამერიკელთა მიუწვდომელი გუნდი ჩვენს პლანეტაზე და პელეს ხელმწიფებრივ ჰეგემონიას კიდითკიდემდე არ ჰქონდა შეზღუდული ფარგლები. ყველას გვინახავს პელე და მისი გუნდი, ზოგს ტელევიზიით, ზოგს — ცხადად და თუ სადმე არსებობს ცოცხლად განსახიერებული იდეალი ფეხბურთში, ეს ბრაზილიის ნაკრები იყო.

ბრაზილიელები არასდროს არ მისტიროდნენ მერკანტილურ პრაქტიციზმს. თამაში მათთვის უპირველესად ყოვლისა უწმინდესი ხელოვნება იყო და პელეს თითოეული პარტნიორი სულ ერთთავად იმის ცდაში იყო ამ ხელოვნებით თვითონაც მიეღო კმაყოფილება და მაყურებელიც დაეტკბო თავისი ნამოღვაწარით. მათ კარგად იცოდნენ, რომ თეატრში მთავარია სცენა და არა დირექტორის კაბინეტი, ამიტომ ამ სცენაზე, როგორც ჭემპარატ სამსხვერპლოზე გამოჰქონდათ თავისი უბადლო ნიჭი.

მე ასე ვფიქრობ — ვინ იცის კიდევ როდის გამეორდება ის ბრაზილიური თამაში, რომელსაც ჩვენ შევესწარით? ჩვენი შვილიშვილების შვილიშვილები მოესწრებიან კიდევ ახალ პელეს?

ბრაზილიელებმა უკანასკნელად მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატში გაიბრწყინეს, როცა ახალი მსხვერპლი შესწირეს უზენაეს ზევსს — ფეხბურთს და სამუდამო მფლობელობაში დაატყვევეს მისი გამარჯვების ქალღმერთი — ნიკე.

მაგრამ ეს იყო დიდი კლასიკოსების — ჟილმარის და ბელინის, ნილტონ და ჯალმა სანტოსების, დიდის და გარინჩას, გერსონისა და ტოსტაოს, ვავასა და პელეს გუნდი, რომელსაც ყველაფერი, აბსოლუტურად ყველაფერი შეეძლო მასობრივ სცენებშიც, ქოროშიც და სოლურ პარტიებშიც.

ის დრო წავიდა. სწორად უთხრა ერთმა ბრაზილიელმა ჟურნალისტმა ევროპელ კოლეგებს — თქვენი ძალა ჩვენს სისუსტეშიაო. სისუსტეები კი ბრაზილიის ახლანდელ გუნდს საკმარისზე მეტი აქვს.

ბრაზილიელები მთელი ეპოქით ჩამორჩნენ თანამედროვე ფეხბურთს. ისინი თამაშობენ ნელა, აუჩქარებლად, ეკუს ნაბიჯით. თითოეულ მცველს თავის გადაუდებელ და უპირველეს მოვალეობად მიაჩნია შეასრულოს რაღაც ილეთი, თუნდაც უსარგებლო, ზედმეტი, გამოუსადეგარი, მაგრამ მაინც შეასრულოს, შემდეგ გადასცეს ბურთი უახლოეს პარტნიორს ნახევარდაცვის ხაზში, რათა მანაც ხელახლა წამოიწყოს ზუსტად იგივე ამბავი, თვითონაც იჯეროს გული ბურთის ტარებით (ეს კი ყველა ბრაზილიელ ფეხბურთელს კარგად შეუძლია) და საშუალება მისცეს მოწინააღმდეგეს მოფიქრებულად, დინჯად, ნაჩქარევობის გარეშე მოაწესრიგოს დაცვაში ყოველგვარი საქმე. ის, რომ სხვები თამაშობენ სწრაფად, თვალის დახამხამებაში გადიან დიდ სივრცეებს, დროს არ კარგავენ უსარგებლო დრიბლინგზე და განივ გადაცემებზე, ბრაზილიელებს სრულიადაც არ აწუხებთ. მათი იდეალი ერთია — ბურთის ტარება. ამის გამოა, რომ ამ გუნდმა 7 ჩატარებული მატჩიდან გფრ-ის სტადიონებზე ოთხში ვერც ერთხელ ვერ შეძლო მეტოქის კარის აღება, ერთხელ გაიტანა ერთი ბურთი და ერთხელაც — ორი (მე მხედველობაში არა მაქვს ზაირის სუსტ ნაკრებთან ნათამაშევი მატჩი, სადაც ბრაზილიელები 8 ბურთის გატანის აუცილებელი ალტეოხატივის წინაშე იმყოფებოდნენ, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში ეთიშებოდნენ გათამაშებას, და რის ვაინაჩრობით, რის გატრივებით შეძლეს ამ ნორმის შესრულება. იუგოსლავიელებმა, მაგალითად, იმავე ზაირელთა კარი სულ იოლად აიღეს 9-ჯერ).

არასოდეს ჰყოლია ბრაზილიას ასეთი სუსტი, უკბილო, „გულკეთილი“ თავდასხმა. რომელიღაც ჟურნალისტმა საკმაოდ შხამიანად შენიშნა ამის თაობაზე, რომ ბრაზილიელ ფორვარდებს პლატონიური სიყვარული აქვთ მეტოქის კარისა, რომლისგანაც ვერაფერ სარგებლობას ნახულობენენ. ეს „პლატონიურობა“ სწორედ იმაში გამოიხატა, რომ ჟაირზინიო, დირსეო, ვალდომირო, ადემირი და სხვანი შორიდან „ეარშიყებოდნენ“ მოწინააღმდეგე მეკარეებს და უმოწყალოდ კარგავდნენ ხელსაყრელ მომენტებს. ძალზე სუსტად ითამაშეს ცეზარებმაც — პირველმაც და მეორემაც. ერთადერთი, ვინც ნამდვილი დიდი ფეხბურთელის სიმაღლეზე იდგა, ეს იყო ქერათმიანი ფრანსისკო მარინიო, ბრწყინვალე ოსტატი, მაგრამ ძალზე უხეში, თავშეუკავებელი, აფექტიანი. კარგად ითამაშა ნახევარმცველმა რიველინომაც.

ერთადერთი, რაც ბრაზილიელებმა აჩვენეს ამ ტურნირზე, ეს იყო საჯარიმო დარტყმების შესანიშნავი გათამაშება. ამაში კი ისინი შეუდარებელი ოსტატები არიან. ჯერ ერთი, საჯარიმოს გათამაშებისას ისინი ერთ ან ორ ფეხბურთელს „პროვოკაციული“ მიზნით აგზავნიან მოწინააღმდეგის კედელში (წესით ეს არაა აკრძალული), რომლებიც ხელს უშლიან მცველებს დაფარონ კარი, ამ დროს რიველინო სხვადასხვაგვარ მახვილგონივრულ საშუალებას მიმართავს საჯარიმოს გასათამაშებლად, ან პირდაპირი დარტყმის შესასრულებლად.

ყველაფერი ზემოთქმულის საწინააღმდეგოდ ჩემმა ოპონენტებმა შეიძლება ის არგუმენტი მოიყვანონ, რომ ბრაზილიას პირველხარისხოვანი, საუკეთესოდ ორგანიზებული დაცვა ჰყავს, რომელმაც მხოლოდ რიგით მეხუთე მატჩში, 450-ე წუთზე გაუშვა ბურთი თავის კარში. მართალია, გუნდს შესანიშნავი დაცვა გააჩნია, მაგრამ განა მარტო დაცვით გაიტანდა თავს მსოფლიო ჩემპიონი? აკი ვერც გაიტანა და დამთო შემტევი ფეხბურთის წინაშე.

ბრაზილიის ნაკრების, აწ უკვე ექსჩემპიონის გამოსვლის შედეგებზე ბევრი დაიწერება, სპეციალისტები იტყვიან თავიანთ ავტორიტეტულ სიტყვას, მაგრამ არა მგონია ვინმეს მოუბრუნდეს ენა და შეუდგეს მტკიცებას, რომ ბრაზილიელები უმართებულოდ ან უიღბლო შემთხვევითობის გამო დაისაჯნენ. ყველაფერი მოხდა კანონზომიერად, მოვლენათა შესატყვისად, ძალების რეალური შეფარდების პრინციპით.

საფულეს ერთნაირად კარგავს მდიდარიც და ღარიბიც, საქმე მხოლოდ იმაშია, თუ რა იდო საფულეში, ბრაზილიელებს კი იქ ბევრი რამ ჰქონდათ: ჩემპიონობაც და დიდებაც, საყოველთაო პრიორიტეტიც და ნოვატორთა სახელიც. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს, თუ ბრაზილიელ ოსტატებს არა ჰყავთ ისეთი ბელადები, როგორებიც მექსიკაში იყვნენ პელე, ვერსონი, ტოსტაო, ისინი კარგავენ მიზანსწრაფულობას და ტაქტიკურ მთლიანობას. გამოდის რომ ცხვრების ფარა, რომელსაც ლომი უდგას სათავეში, მართლაც ჯობია ლომების ჯოგს, რომელსაც ცხვარი ჰყავს მეთაურად.

ერთი დამარცხება ზოჯჯერ 100 გამარჯვებაზე მეტია! მე შორს ვარ იმ აზრისგან, რო. დადგა ბრაზილიური ფეხბურთის ვატერლოო, ვინაიდან გფრ-ში იგი წარსული დიდების იმედით ჩამოვიდა. როცა ბრაზილიელები დარწმუნდნენ, რომ პირველნი არ იყვნენ, გამოირკვა, რომ ისინი აღარც მეორენი ყოფილან, მხოლოდ დრიბლინგგზზე დამყარებული ფეხბურთი მოკვდა, ოღონდ დამარსვა დაავიწყდათ მისი. ტყუილად როდი დარბოდა ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელი მარიო ზაგალო გამალებული ფოტოაპარატით ხელში და ყურადღებით იღებდა გფრ—ჰოლანდიის ფინალური მატჩის ეპიზოდებს. გუშინდელი მასწავლებლები დღეს მოწაფეთა როლში აღმოჩნდნენ და თვალსაჩინო მასალას აგროვებდნენ სასწავლად. ცნობილმა ბრაზილიელმა კომენტატორმა, ნაკრების მწვრთნელმა წარსულში ჟ. სალდანიამ აკი ასეთი სიტყვებიც თქვა: თანამედროვე ფეხბურთისთვის უბედურება იქნებოდა ბრაზილიას რომ მოეგო ჩემპიონობაო.

მართლაც: ბრაზილიამ უფრო მეტი დაკარგა, ვიდრე ჩემპიონობა. მან დაკარგა საერთო ჰეგემონია, დაკარგა ფეხბურთის მოყვარულთა საყოველთაო სიმპათია და ხელახლა უნდა იბრძოლოს მისი მოპოვებისთვის. ბრაზილიელებმა ინგლისშიც განიცადეს მარცხი 1966 წელს, თანაც უფრო სასტიკი, ვიდრე ახლა, მაგრამ მაშინ მათ თანაუგრძნობდნენ, სიმპათიით ეპყრობოდნენ და აზრად არავის მოსვლია ეთქვა ჩემპიონის აღსასრული დადგაო. ბრაზილია, ეჭვი არ მეპარება, კვლავ იტყვის თავის სიტყვას, მაგრამ საამისოდ მას ან ახალი პელე სჭირდება, ან... ან თამაშის სწავლა თავიდან.

(გაგრძელება იქნება)



სურათზე: შვეიცარიისა და ბულგარეთის გუნდების შეხვედრაში ანგარიში არ გახსნილა — 0:0. ბულგარელთა მცველმა პენევმა წამით დაავიანა, ედსტრიომმა მოასწრო თავით დარტყმა, მაგრამ ბურთი აცდა მიზანს.

სურათზე: შოტლანდიისა და ბრაზილიის გუნდების შეხვედრაში, რომელიც ფრედ დამთავრდა, ბრაზილიელები არაერთხელ იყვნენ ამგვარ კრიტიკულ სიტუაციაში. შოტლანდიელები უტევდნენ ენერგიულად, მონდომებით, დიდი ძალებით. ნახტომშია შოტლანდიელთა ცენტრალური თავდამსხმელი ჟორდანი. მეკარე ლეაო მზადაა ბრძოლაში ჩასაბმელად, ზურგით დგას ბრაზილიელთა ნახევარმცველი ფ. მარინიო (№ 6).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო“ № 147, 148, 149.

მასობრივი სტარტები წითელ მდინარეზე

მდინარე თსაიბინზე, წითელი მდინარის დელტის ერთ-ერთ ტოტზე, მოეწყო ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული შეჯიბრება — „გაცურვა ბატდანგზე გამარჯვების აღსანიშნავად". ვიეტნამში ომის დამთავრების შემდეგ აღორძინდა ძველი ტრადიცია: მე-18 საუკუნეში თათარ-მონგოლ დამპყრობლებზე ვიეტნამელი ხალხის გამარჯვების აღსანიშნავად ყოველწლიურად ეწყობა მასობრივი შეჯიბრება გრძელ დისტანციებზე ცურვაში.

მდინარის ნაპირზე ჩრდილოეთ ვიეტნამის საუკეთესო მოცურავეთა ჯასპარეობის სანახავად ათი ათასობით მაყურებელმა მოიყარა თავი. 57 ვაჟი (დისტანცია 7 კმ) და 33 ქალი შეუპოვრად იბრძოდა პირველობისთვის.

გაიმარჯვეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო საზღვაო ძალების წარმომადგენელმა ნგუენ გა ტინმა და ბანოელმა მოსწავლე გოგონამ ფამ თხი ჩაომ. მოცურავეთა საშუალო ასაკი ასეთი იყო: ვაჟები — 21 წელი, ქალები — 19. შეჯიბრებაში მონაწილეობდა ორი 13 წლის მოსწავლე გოგონაც.

ა. მინევეი.

ჰანოი.

მოძმე სოციალისტურ ქვეყნებიდან
ბიბლიოთეკა

საჯარო მოტივიზრები



გამოვლინდნენ ქვეყნის ჩემპიონები წყალქვეშა სპორტში. ტალინში მიმდინარე შეჯიბრების დროს რვა მსოფლიო რეკორდი დამყარდა. საბჭოთა სპორტსმენები ამ სახეობაში კვლავ მოწინავენი არიან საერთაშორისო სარბიელზე.

სურათზე: მსოფლიო რეკორდსმენი და სსრ კავშირის ჩემპიონი 400 (3.29,7) და 1500 მეტრზე (14.14,0) ფარფლებით ცურვაში, 19 წლის ლენინგრადელი სპორტსმენი ვ. ანდრეევი.

დ. ირანტსის ფოტო (საკდესი).

დიდი არჩევანი

საბჭოთა ტანმოვარჯიშეები ემზადებიან მსოფლიო ჩემპიონატისთვის, რომელიც 20-27 ოქტომბერს ჩატარდება ბულგარეთის საკურორტო ქალაქ ვარნაში.

— ახლახან იყო ცდა, რომ ბულგარეთისთვის ამ შეჯიბრების ჩატარებაზე უარი ეთქვათ, მაგრამ ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის (ფიგ-ი) საგანგებო კონგრესმა, რომელიც ბულგარელი ამხანაგების მოთხოვნით ჩატარდა ამას წინათ შვეიცარიის ქალაქ მონტრში, სამართლიანობა აღადგინა. ხმების უმრავლესობით გაუქმდა ფიგ-ის აღმასკომის უკანონო გადაწყვეტილება, რომ ბულგარეთს ჩემპიონატის ჩატარების უფლება ჩამორთმეოდა, რაღგან მან არ ისურვა საასპარეზოდ დაეშვა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტული რეჟიმის წარმომადგენლები, — განაცხადა საკავშირო სპორტკომიტეტის ტანვარჯიშის განყოფილების უფროსმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ი. ტიტოვმა. — აღმასკომის რეაქციულად განწყობილმა წევრებმა, რომლებსაც, სამწუხაროდ, ფიგ-ის პრეზიდენტი ა. კანდერი (შვეიცარია) ხელმძღვანელობდა, კონგრესზე ფიასკო განიცადეს.

ბულგარელი ამხანაგების პოზიციამ, რომელსაც სავსებით იზიარებენ ჩვენი ფედერაციის წარმომადგენლები, ფართო მხარდაჭერა ჰპოვა მთელს მსოფლიოში. რასისტებს, რომლებიც გარიყული არიან მთელი ოლიმპიური მოძრაობიდან, არც ტანვარჯიშულ შეჯიბრებებში უნდა გავუხსნათ გზა. ამ აზრს გამოთქვამდნენ კონგრესზე სსრ კავშირის, გდრ-ის, მონგოლეთის, ლიბანის, იუგოსლავიის, ალჟირის, ჩეხოსლოვაკიის, ვენესუელის, ტუნისისა და ბევრი სხვა ქვეყნის წარმომადგენლები.

ვინ დაიცავს სსრ კავშირის სპორტულ ღირსებას ვარნაში?

— ქალთა ნაკრებისთვის ბევრი კანდიდატი გვყავს, — განაგრძო ი. ტიტოვმა. — ესენი არიან: როსტოველები ტურიშევა და გროზდოვა, ბელორუსიის წარმომადგენლები — კორბუტი, კოშელი, სავინა და გორბიკი, ჩიმკენტელი კიმი, დრონოვა და სიხარულიძე — საქართველოდან, მოსკოველები ბოგდანოვა და საადი, ლენინგრადელი ვორონინა და ზოგიერთი სხვა.

ვაჟებიდან უდავო კანდიდატები არიან ოლიმპიური ჩემპიონები ანდრიანოვი (ვლადიმირი) და კლიმენკო (მოსკოვი). კარგ შთაბეჭდილებას ტოვებენ, ავრეთვე, მალეევი (მინსკი), მარჩენკო (გროზნო), შამუგია (თბილისი), საფრონოვი (ლვოვი), ტრიფონოვი (ვორონეჟი). განკურნების შემდეგ თანდათან იბრუნებს ფორმას მიქაელიანი (ერევანი).

— ჩემპიონატისთვის მზადება ძირითადად გაზაფხულზე დამთავრდა, ამაში თვითონ დარწმუნდა ფიგ-ის პრეზიდენტი, რომელიც ვარნაში იყო, — განაცხადა ამ დღეებში მოსკოვში მყოფმა მომავალი ასპარეზობის პრესცენტრის ხელმძღვანელმა, ბულგარეთის გაზეთ „ნაროდენ სპორტის" მთავარმა რედაქტორმა ი. დონჩევმა. — ბულგარეთში მოუთმენლად ელიან ამ უაღრესად საინტერესო შეჯიბრებას. თავს არ დავზოგავთ, რომ ასპარეზობა კარგად ჩატარდეს.

ასპარეზობა ჩატარდება შესანიშნავ სპორტის სასახლეში, რომელიც თითქმის 5 ათას მაყურებელს იტევს. ვარნაში ოქტომბრის დამლევს საუცხოო ამინდია. ხოლმე — მზიანი დღეებია, მაგრამ არ ცხელა. ტანმოვარჯიშეების, მსაჯუბისა და ჟურნალისტების განკარგულებაში იქნება ქალაქ-კურორტის საუკეთესო სასტუმროები.

უკვე მზადაა შეჯიბრების აფიშები, ასე განსიჯეთ, მედლები და სიგელებიც.

ვ. დვორცოვი.
(საკდესის კორ.).

ყველასთვის სასარგებლო სასტუნებელი

ჰელსინკში, პრეზიდენტის სასახლეში, მოეწყო საზეიმო ცერემონია, სადაც ფინეთის პრეზიდენტს უ.-კ. კეკონენს გადასცეს... სასტუნებელი. „ძალისა და ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და აღდგენის სპორტული კავშირის" წარმომადგენლებმა სასტუნებლის გადაცემის დროს აღნიშნეს, რომ უფროსი ადამიანები თანდათან ივიწყებენ ფიზიკური წვრთნის ბევრ ეფექტურ სახეს, რაც ბავშვობაში უყვარდათ. ერთ-ერთი ასეთი სახეა სასტუნებელი — ჩვეულებრივი სასტუნაო თოკი, რომელიც ბავშვებისთვის საყვარელი გასართობია, დიდებისთვის კი — ფიზიკური ვარჯიშის საუცხოო საშუალება.

ბავშვები სასტუნებლით მთელი წლის მანძილზე თამაშობენ მსოფლიოს ყველა კუთხეში. ძნელია მოიძებნოს უფროსი ადამიანი, რომელიც ბავშვობაში თვითონაც არ ყოფილიყოს გატაცებული ამ თამაშით. ძვირფასი სპორტული იარაღების შეძენა ყველას როდი შეუძლია, მაგრამ სასტუნებელი ხომ ყველასთვის მისაწვდომია. კავშირის აზრით, ჯანმრთელობის შენარჩუნების ეს უბრალო, მაგრამ ეფექტური საშუალება მოსახლეობის ფართო ფენებში უნდა დაინერგოს.

შემთხვევითი როდია, რომ კეკონენს სასტუნებელი აჩუქეს. ეს ტრადიციამაც განაპირობა. როცა ფინეთში სურთ გზა გაუხსნან რაიმე ახალ იდეას ან ფართო კამპანია წამოიწყონ, პირველ ყოვლისა პრეზიდენტს მიმართავენ თუ, ვთქვათ, სპორტმწვრთნელი „პურის კვირეულს" აღნიშნავენ, პირველ ყოვლისა, პურს პრეზიდენტს მიართმევენ. როცა ახალი ხაზის პროდუქციის ათვისებას იწყებენ, საცდელ ეგზემპლარს პრეზიდენტს გადასცემენ. ასეთია ტრადიცია. მაგრამ სასტუნებელი პრეზიდენტს მარტო ამიტომ როდი გადასცეს. საქმე ისაა, რომ კეკონენი თვის დროზე კარგი სპორტსმენი იყო და ახლაც აქტიურად ვარჯიშობს. ამას წინათ პრეზიდენტის ჯანმრთელობა შეამოწმეს. დადგინდა, რომ ამ 74 წლის კაცს 40 წლის ჯანსაღი ადამიანის ჯანმრთელობა აქვს. კეკონენი ყოველდღე 4-5 კილომეტრზე სეირნობს ან დარბის. შარშან ზამთარში მან თხილამურებით გაიარა საერთო ჯამში 980 კილომეტრი.

პრეზიდენტმა კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ სასტუნებელი კვლავ აღმოაჩინეს და უფროს ადამიანებს შორის მას თანდათან მეტი მომხრე უჩნდება.

10 ათასი ცალი სასტუნებელი, რომლებიც პირველად საცდელად გამოიტანეს ბაზარზე, რამდენიმე დღეში გაიყიდა.

ტ. მიაკინენი.
(საკდესის კორ.).

ჰელსინკი.

მსოფლიო პირველობა... მოჰაერაკე რობოტებს შორის

5 აგვისტოს სტარტს აიღებს პირველი მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში ელექტროგამომთვლელ მანქანებს შორის.

სასპარეზოდ მიწვეულია 12 რობოტი 8 ქვეყნიდან. მაგალითად, სსრ კავშირიდან. სარბიელზე გამოვა ელექტროგამომთვლელი მანქანა „კაისა", აშშ-დან — „ჭაბი", ინგლისიდან — „ოსტატი", შვეიცარიიდან — „ვილჰელმ ტელი".

სპეციალისტების აზრით, მოსალოდნელია უშეღავათო ბრძოლა. მთავარ ფავორიტად ასახელებენ აშერიკულ რობოტს „ჩეს 4.0"-ს. ეს მანქანა აშშ-ს ოთხგზის ჩემპიონია. ავტორებმა — ილინოისის შტატის ჩრდილო-დასავლეთის უნივერსიტეტის მათემატიკოსებმა — თავიანთი პირმშო ახალი ტექნიკით აღჭურვეს.

ჩვენი „კაისაც" კარგადაა მომზადებული. მარშან „იგი გახვეთ „კომსომოლსკაია პრავდის" მკითხველებს ეთამაშა და საჭირო გამოცდილება მიიღო. რობოტის შემქმნელი კოლექტივის ხელმძღვანელმა, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ვ. არლაზაროვმა თქვა, რომ „კაისამ" ისწავლა ფიქრი მეტოქის ხელის დროსაც. მას შეუძლია ითამაშოს დებიუტი და ენდშპილი თანაქედროვე თეორიული რეკომენდაციების დონეზე.

პირველობას თავისი რეგლამენტი აქვს. პარტიის დროის კონტროლი ასეთია: პირველ 40 სვლაზე — 2 საათი, ყოველ მომდევნო ათ სვლაზე — 30 წუთი. ხუთსაათიანი თამაშის შემდეგ ტურნირის დირექტორს შეუძლია პარტია შეწყვიტოს და შედეგის დასაღგენად გადასცეს, მაგრამ, თუ პარტიას ჩემპიონის გამოვლენისთვის მნიშვნელობა ექნება, იგი ბოლომდე გაგრძელდება.

რობოტს შეუძლია „ავადმყოფობის" გამო თამაში 20 წუთით შეწყვიტოს, ვიდრე შეაკეთებენ.

ტურნირი შვეიცარული სისტემით გაიმართება. შედეგად ოთხი ტური. მეტოქეებს წილისყრა დაასახელებს.

მანქანის მომსახურე ჰერსონალს რობოტის დახმარება სასტიკად აკრძალული აქვს. მათ შეუძლიათ მანქანას „აცნობონ" მხოლოდ მეტოქის მიერ სვლების მოფიქრებისას დახარჯული დროის შესახებ. სვლები ტელეფონით გადაეცემა სტოკჰოლმში საკოორდინაციო ცენტრში.

ყველაზე დიდი მოგება

როგორც უკვე ვიუწყებოდით, მე-19 ტირაჟში „სპორტლოტოს" საქართველოს ზონალურ სამმართველოში „სპორტლოტო-2"-ის ხუთი ერთნაირად შევსებული ბილეთი შემოვიდა, თითოეულზე ხუთი ციფრი იყო გამოცნობილი. საერთო მოგებამ 17265 მანეთი შეადგინა!

ამ დღეებში ცნობილი გახდა, რომ ეს ბილეთი ეკუთვნოდა გარდაბნის რაიონის სოფელ წავკისის მცხოვრებს, „თბილწყალსადენის" მეპრაქტიკეს ა. ქორთოლლიშვილს. მან „გააუქმა" ჩვენი რესპუბლიკის ძველი ტაქორდი, რომელიც თბილისელ ნ. ხუციევს ეკუთვნოდა და 12066 მანეთს უდრიდა.

ახლა კი „სპორტლოტოს" და „სპორტლოტო-2"-ის მე-20 ტირაჟის შესახებ.

„სპორტლოტო": ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 1616 მანეთია, ოთხისთვის — 39, სამისთვის — 3.

„სპორტლოტო-2": ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 3146 მანეთია, ოთხისთვის — 63, სამისთვის — 3.

მე-20 ტირაჟში მოგებული თანხა გაიცემა 1-დან 30 აგვისტოს ჩათვლით.

ნ. ლონლაძე,
„სპორტლოტოს" ზონალური სამმართველოს უფროსი ინსტრუქტორი.

კუბა ელის ხელთათმნის ოსტატებს

კუბის სპორტული საზოგადოებრიობა ინტერესით ელის მოყვარულ მოკრივეთა პირველ მსოფლიო ჩემპიონატს, რომელიც 17 აგვისტოს დაიწყება ჰავანის სპორტის სასახლეში. კუბისა და მთელი მსოფლიოს სპორტული ცხოვრების ამ მნიშვნელოვანი მოვლენის აღსანიშნავად გამოუშვეს კალენდარი და ნაირნაირი სუვენირები ჩემპიონატის ემბლემით, აგრეთვე, სპეციალური სპორტული ჟურნალი, რომელშიც დაბეჭდილია შეჯიბრების პროგრამა და რეპორტაჟი ჰავანიდან 20 კილომეტრის დაშორებით მდებარე ბაზიდან, სადაც კუბელი მოკრივეები ემზადებიან.

ჰავანაში 70 ქვეყნის წარმომადგენლებს ელიან. მასპინძლები უკვე სერიოზულად, დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით ემზადებიან სტუმრების მისაღებად. ჩემპიონატისთვის მზადებას ხელმძღვანელობს სპორტის, ფიზიკური აღზრდისა და დასვენების ეროვნული ინსტიტუტი.

შეჯიბრების მონაწილენი და მსაჯები კუბის დედაქალაქის ერთ-ერთ საუკეთესო სასტუმროში — „ჰავანა ლიბრეში" იცხოვრებენ.

კუბის კრიკეტის ფედერაციის პრეზიდენტის ვალდო სანტიაგოს სიტყვით, სპორტის სასახლეში დადგამენ მძლავრ ეკრანებს ჰაერის კონდიცირებისთვის. შეუკვეთეს სპეციალური ელექტროტაბლო, სადაც აღინიშნება რაუნდები, დრო, მონაწილეთა გვარები და შედეგები.

კუბელი კრიკეტის მოყვარულები დიდ ინტერესს იჩენენ მსოფლიო ჩემპიონატისადმი. ერთხანს გადაწყვეტილი ჰქონდათ ტურნირი ერთ-ერთ უდიდეს სტადიონზე ჩაეტარებინათ, რათა ყველა მსურველს ჰქონოდა მოკრივეთა ბრძოლების ნახვის შესაძლებლობა. მაგრამ მერე ამ იდეაზე უარი თქვეს, ვინაიდან ამგვარი შეჯიბრებები დღემდე ყოველთვის დარბაზებში ტარდებოდა.

სპეციალისტთა აზრით, ეჭვი არ არის, რომ ჰავანაში მომავალი მსოფლიო ჩემპიონატი მალალ დონეზე ჩატარდება.

ვ. პოლიკარპოვი.
(საკდესის კორ.).

ჰავანა.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.